სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

# წლიური ანგარიში
(2010 წელი)

## მოკლე ისტორია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი დაფუძნდა 2005 წლის 8 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის #927 ბრძანებულებით, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2009 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის #8 დადგენილებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი გადავიდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობა, სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასაქმებულია 11 შტატის, 6 შტატგარეშე თანაშრომელი და ტრენერები ხელშეკრულებით.

# სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში განახლდა, დაიხვეწა და შეიქმნა შემდეგი სასწავლო პროგრამები

### ა. ძირითადი სასწავლო პროგრამები

1.1 სასჯელაღსრულების სისტემის სოციალურ მუშაკთა სასწავლო პროგრამა

1.2 სოციალური მუშაობის თეორიული და პრაქტიკული სასწავლო პროგრამა

1.3 დამატებითი სასწავლო პროგრამა სოციალური მუშაობის თეორიასა და პრაქტიკაში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის

2. სასჯელაღსრულების სისტემის სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

3. სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

3.1 დამატებითი სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის

4. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოფიცერთა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა სასწავლო პროგრამა

5. სასჯელაღსრულების სისტემის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

6. სასჯელაღსრულების სისტემის კადრების განყოფილების თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

7. სასჯელაღსრულების სისტემის სამდივნოს თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

8. სასჯელაღსრულების სისტემის მსჯავრდებულთა და პატიმართა ბადრაგირების სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

9. სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო პერსონალის სასწავლო პროგრამა

10. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა

11. სასწავლო პროგრამა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკებისათვის

## ბ. დამატებითი სასწავლო პროგრამები

12. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამა

13. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ფიზიკური მომზადების სასწავლო პროგრამა

14. ადამიანური რესურსების მართვის სასწავლო პროგრამა

15. ემოციური აგრესიის მართვის სასწავლო პროგრამა

16. კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესების სასწავლო პროგრამა

17. სტრესის მართვის პროგრამა

18. ინტერვიუირების სასწავლო პროგრამა

19. ტრენინგ პროგრამა - გუნდი, ლიდერობა, ფასილიტაცია

20. კონფლიქტების ეფექტურად მართვის ტრენინგი

21. ტრენინგი - „არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულებთან მოპყრობის თავისებურებები“

22. ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირებთან მუშაობის ფორმები

23. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან დაკავშირებით

24. სასწავლო პროგრამა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებისა და აპარატის თანამშრომელთათვის

25. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა მსჯავრდებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

26. სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა მსჯავრდებულის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

## ღონისძიებები

1. განახლდა და შემუშავდა სასწავლო პროგრამები. მიღებულია 11 ძირითადი და 15 დამატებითი სასწავლო პროგრამა;
2. განხორციელდა თანხების მოზიდვა შემდეგი დონორ ორგანიზაციებისაგან: ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG), საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), გაეროს ბავშვთა ფონდი(UNICEF).
3. დაიწყო სამწლიანი პროექტი "დანიდას კავკასიის პროგრამა", რომელსაც ახორციელებს ევროსაბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში;
4. გაფორმდა სამწლიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლო ცენტრსა და საფრანგეთის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის ეროვნულ სკოლას (ENAP) შორის. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში სასწავლო ცენტრში სტაჟირება გაიარა საფრანგეთის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორობის ორმა კანდიდატმა;
5. 2010 წლის 8 ნოემბერს აღინიშნა სასწავლო ცენტრის დაარსების ხუთი წლის იუბილე;
6. მომზადდა 12 წუთიანი ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) ფილმი სასწავლო ცენტრის შესახებ.

## ვიზიტები

1. განხორციელდა სომხეთის იუსტიციის სამინისტროს სამართლის ინსტიტუტის დელეგაციის ვიზიტი სასწავლო ცენტრში. ასევე, სასწავლო ცენტრის წარმომადგენელთა ვიზიტი ერევანში ურთიერთთანამშრომლობის დაწყების მიზნით;
2. ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით, განხორციელდა მოკლევადიანი სასწავლო ვიზიტები ესტონეთში, გერმანიასა და აშშ-ში.

## საგამომცემლო საქმიანობა

1. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ”ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული”;
2. მომზადდა და გამოიცა ”პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული”.
3. სასწავლო ცენტრის დაარსების 5 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ბუკლეტი;
4. გამოსაცემად მომზადდა ორი სახელმძღვანელო: “სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის მართვის შესახებ” და ”არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი”.

# ტრენინგები

## ტრენერთა ტრენინგი

| ადამიანური რესურსების მართვა | სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა | ტრენერთა თვითშეფასების მეთოდიკა | აგრესიულ და ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმრებთან ძალის მინიმალური გამოყენება | სულ |
|---|---|---|---|---|
| 23 | 34 | 14 | 10 | 81 |

## ტრენინგები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთათვის

| | |
|---|---|
| პატიმრობის კოდექსი | 1 334 |
| ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება | 290 |
| დისციპლინური პასუხისმგებლობა | 55 |
| რისკისა და საჭიროებების შეფასება / სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა | 15 |
| უსაფრთხოების სამსახური | 20 |
| აგრესიულ და ფსიქიკურად გაუწონასწორებელ | 49 |

| | |
|---|---|
| პატიმრებთან ძალის მინიმალური გამოყენება | |
| სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი | **16** |
| რეჟიმის სამსახური | **50** |
| საარჩევნო პროცედურების ორგანიზება | **80** |
| ადმინისტრაციული პატიმრობა | **57** |
| ეროვნული პრევენციის მექანიზმი | 62 |
| სულ | 2 028 |

# ტრენინგები პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთათვის

| ძირითადი სასწავლო პროგრამა | რისკისა და საჭიროებების შეფასება / სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა” | ინტერვიუირებისა და კომუნიკაციის უნარის განვითარება | კომპიუტერული საოფისე და საბაზო პროგრამები | სულ |
|---|---|---|---|---|
| 41 | 41 | 85 | 129 | 296 |

# ტრენინგები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს თანამშრომელთათვის

| პატიმრობის კოდექსი | ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება | სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის | სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებისა და აპარატის თანამშრომლები | სულ |
|---|---|---|---|---|
| 67 | 11 | 25 | 10 | 113 |

**სასწავლო ცენტრის**

**დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები (2006 – 2009 წწ)**

- შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Sida)
- გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)
- ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში (OSCE)
- ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
- ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია (ABA)
- ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI)
- საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ)
- საფრანგეთის საელჩო საქართველოში
- აშშ საელჩო საქართველოში
- პოლონეთის საელჩო საქართველოში
- ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში
- ფონდი ,,ღია საზოგადოება – საქართველო’’
- შვედეთის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახური (Kriminalvarden)
- ლიტვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი
- ესტონეთის ციხის თანამშრომელთა სასწავლო აკადემია
- საფრანგეთის პენიტენციური ადმინისტრაციის ეროვნული სკოლა (ENAP)
- ნორვეგიის ციხის თანამშრომელთა სასწავლო აკადემია
- კალიშეს ციხის თანამშრომელთა მომზადების ძირითადი ცენტრი (პოლონეთი)
- სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამართლის ინსტიტუტი

## 2010 წელს მიღებული საგრანტო დაფინანსებები

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

265 158 ლარი

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ)

50 412 ლარი

ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში **(NORLAG)**

**23 637** ლარი

გაეროს ბავშვთა ფონდი **(UNICEF)**

21 480 ლარი